



# კრიპტომატების გამოყენების ინსტრუქცია

შპს „კრიპტომატი“ (საქართველო & უკრაინა)

კრიპტოვალუტის ყიდვა


კრიპტოვალუტის განაღდება

- თანხის გამოტანა

# კრიპტომატი

კრიპტომატების საშუალებით კრიპტოვალუტების ნაღდი ფულით შეძენა და განაღდება შესაძლებელი.

მხარდაჭერილი კრიპტოვალუტებია:

- ბიტკოინი (BTC) 
- ლაითკოინი (LTC) 
- ბიტკოინ ქეში (BCH) 
- ეთერიუმი (ETH) 




ოპერაციის დასაწყებად შეეხეთ ეკრანს!

# კრიპტოვალუტის ყიდვა (I)

## ნაბიჯი 1

მთავარი მენიუდან აირჩიეთ ბრძანება  
**Buy Coins.**




\*ოპერაციები სრულდება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში:

🇯🇵 (GEL) საქართველოში

🇺🇦 (UAH) უკრაინაში

## ნაბიჯი 2

აირჩიეთ კრიპტოვალუტა, რომლის შეძენაც გსურთ.



\*ეკრანის ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია არჩეული კრიპტოვალუტის ყიდვის ონლაინ კურსი.

## ნაბიჯი 3

დააჭირეთ **Scan Wallet QR Code**-ს და დაასკანერეთ თქვენი საფულის QR კოდი.




\*QR კოდი **10-15 სმ**-ის დისტანციაზე მიიტანეთ სკანერთან.

# კრიპტოვალუტის ყიდვა (II)

## ნაბიჯი 4


ფულის მიმღებში შეიტანეთ კუპიურები და დააჭირეთ **Finish**-ს.



\*ეკრანზე ნაჩვენებია, თუ რა ოდენობის BTC/BCH/LTC/ETH შეძენა შეგიძლიათ კრიპტომატში შეტანილი თანხით.


## ნაბიჯი 5

მიუთითეთ, თუ გსურთ ქვითრის მიღება.



## ნაბიჯი 6

ტრანზაქცია წარმატებით განხორციელდა! შექმნი კრიპტოვალუტა მითითებულ მისამართზე გადაირიცხა.




დაელოდეთ თქვენი ტრანზაქციის ბლოკჩეინის ქსელში დადასტურებას (საშუალოდ, 30-180 წუთი).

# კრიპტოვალუტის განაღდება (I)


## ნაბიჯი 1

მთავარი მენიუდან აირჩიეთ ბრძანება **Withdraw Cash.**



## ნაბიჯი 2


მიუთითეთ, რომელი კრიპტოვალუტის განაღდება გსურთ.



\*უკრანის ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია არჩეული კრიპტოვალუტის გაყიდვის ონლაინ კურსი.

## ნაბიჯი 3

აირჩიეთ გასანაღდებელი თანხის ოდენობა.



\*დააჭირეთ **Other**-ს, თუ გსურთ, რომ თავად მიუთითოთ სასურველი ოდენობა.



# კრიპტოვალუტის განაღდება (II)


## ნაბიჯი 4

QR კოდი, მოთხოვნილი კრიპტოვალუტა და კრიპტომატის საფულის მისამართი გამოჩნდება ეკრანზე.




## ნაბიჯი 5

გახსენით თქვენი საფულე, დაასკანერეთ QR კოდი და დაადასტურეთ გადარიცხვა.



## ნაბიჯი 6

თანხის გაცემამდე კრიპტომატი დაგიბეჭდავთ ქვითარს რვანიშნა კოდით (ე.წ. Redemption Code).




აიღეთ ქვითარი და დაელოდეთ თქვენი ტრანზაქციის ბლოკჩეინის ქსელში დადასტურებას (საშუალოდ, 30-180 წუთი).

# კრიპტოვალუტის განაღდება (III) – თანხის გამოტანა

ბლოკჩეინის ქსელში თქვენი ტრანზაქციის დადასტურების შემდეგ, დაბრუნდით იმავე კრიპტომატანს.


## ნაბიჯი 1

მთავარი მენიუდან აირჩიეთ ბრძანება  
**Redeem.**




## ნაბიჯი 2

შეიყვანეთ ქვითარზე მოცემული ე.წ.  
Redemption code.  
დააჭირეთ **Finish Withdrawal**-ს.



## ნაბიჯი 3

მიუთითეთ, თუ გსურთ ქვითრის მიღება.  
აიღეთ ფული.







+995 322 880 770 (საქართველო)



+380 322 320 502 (უკრაინა)



[support@cryptomat.com](mailto:support@cryptomat.com)



<https://cryptomat.com>

მადლობთ, რომ სარგებლობთ ჩვენი კრიპტომატებით!